საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/7059
07/10/2021

7059-09-2-202110071634

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს
მის: ქ. თბილისი, იოველ ჯეგაშვილის 1-ლი გას. N5
ელ ფოსტა:vakhtang.kobaladze@csrdg.ge

ბატონო ვახტანგ,

განვიხილეთ, თქვენი 2021 წლის 5 ოქტომბრის N24404 წერილი, რასთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

2021 წლის დასაწყისიდან 16 სექტემბრამდე პერიოდში, სააგენტოს მიერ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ინფორმირებული იყო რძესა და რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმების აღმოჩენის 7 შემთხვევასთან დაკავშირებით. თუმცა, თქვენი 2021 წლის 30 აგვისტოს N20583 განცხადების საფუძველზე, 2021 წლის 16 სექტემბერს, ზემოაღნიშნულ უწყებას სააგენტოს მიერ დამატებით გაეგზავნა ინფორმაცია შპს „რესპუბლიკა“-ს და შპს „ფუდ ლაინ+“-ის მიერ წარმოებულ რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმების აღმოჩენის 3 შემთხვევასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს 10 შემთხვევასთან დაკავშირებით მოხდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმირება.

გიგზავნით, საგამოძიებო ორგანოსთვის გაგზავნილი წერილის ასლს (იხ.დანართი).

დანართი: 3 ფურცელი

გიორგი იაკობაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.